ხელშეკრულება 06/39

ქ.თბილისი 3 სექტემბერი 2013წ.

სსიპ ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლა, მისი დირექტორის ნანა ლაბაძეს სახით ერთის მხრივ, (შემდგომში დამკვეთი) და მეორეს მხრივ, ი/მ ლაშა ბითაძე, შემდგომში "შემსრულებელი", ხოლო ორივენი ერთად, წოდებულნი როგორც მხარეები, ცალ-ცალკე კი მხარე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. დამკვეთი უკვეთავს შემსრულებელს ვერტიკალურ ფარდა-ჟალუზებს, ხოლო შემსრულებელი ამზადებს და ამონტაჟებს აღნიშნულ ფარდა-ჟალუზებს. (**CPV 39500000-**ჟალუზები)

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1 შემსრულებელი უმზადებს დამკვეთს 340 (სამასორმოცი) ლარის (11.62 კვ.მ) ღირებულების ფარდა-ჟალუზი 2013 წლის 8 სექტემბრამდე, ხოლო დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში

2.2 შემსრულებელი ვალდებულია მიაწოდოს დამკვეთს უნაკლო საქონელი. დამკვეთი ნაკლის შესახებ შემსრულებელს პრეტენზიას განუცხადებს საქონლის მიღებიდან ერთი კვირის ვადაში. პრეტენზიის მიღებიდან შემსრულებელი იღებს ვალდებულებას საკუთარი ხარჯით გამოასწოროს ნაკლი.

3. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1 ხელშეკრულების პირობის (პირობების) დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

3.2 იმ შემთხვევაში თუ დამკვეთი არ განახორციელებს ანგარიშსწორებას შემსრულებელთან ხელშეკრულების 2.1 პუნქტის შესაბამისად, მაშინ დამკვეთი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსრულებელს საურავი გადაუხდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების №2.1 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია გადაუხადოს დამკვეთს საქონლის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4. სხვა პირობები

4.1. ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნას ცვლილებები, რომელიც გაფორმებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით და დამოწმებული ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

4.2 იმ შემთხვევაში თუ ამ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტი წინააღმდეგობაში აღმოჩნდება კანონმდებლობასთან ეს არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას.

4.3 მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი უთანხმოება გადაწყვეტილი უნდა იყოს მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

4.4 ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ მხარეთა შორის ხელშეკრულების დადებამდე არსებული ყველა ზეპირსიტყვიერი თუ წერილობითი შეთანხმება კარგავს იურიდიულ ძალას.

4.5 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსრულებელიდამკვეთი

ი/მლაშაბითაძე
ს/კ 57001019462
სს „საქართველოსბანკი"
კოდიBAGAGE22
ა/ა GE07BG0000000925053600მის:

მობ: 551 90 00 70

ი/მ ლაშა ბითაძე

სსიპ ქალაქ თბილისის 178 საჯაროსკოლა

ს/კ: 206031916

ქ.თბილისი. ვარკეთილის 2. 3

დირექტორი ნანა ლაბაძე